აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

განკარგულება №2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
რიგგარეშე პლენარული სხდომის მოწვევის შესახებ

ქალაქი ბათუმი 9 ივნისი, 2023 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 68-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, მოწვეულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარული სხდომა 2023 წლის 12 ივნისს, 12 საათიდან (განსახილველ საკითხთა ნუსხა თან ერთვის).

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა

1. მინისტრის საათი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოხსენება სამინისტროს საქმიანობის შესახებ.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ" (№09-01-08/49, 30.05.2023წ.).

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ" (09-01-08/34, 26.09.2022; მ.გვიანიძე)

III მოსმენა

4. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.